სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 6 21 0000394093

23/04/2021

"2020-2021 სასწავლო წლის მეორე (გაზაფხულის) სემესტრის სასწავლო განრიგის შესახებ" სტუ-ის 2021 წლის 12 მარტის №221961 ბრძანების ცვლილების შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2021 წლის 16 აპრილის №175 დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. "2020-2021 სასწავლო წლის მეორე (გაზაფხულის) სემესტრის სასწავლო განრიგის შესახებ" სტუ-ის 2021 წლის 12 მარტის №221961 ბრძანებაში (შემდგომში ბრძანება) შეტანილ იქნეს ცვლილება და მისი მე-5, მე-6 და მე-8 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
"5. სასწავლო მეცადინეობები ჩატარდეს 2021 წლის 10 ივლისის ჩათვლით (იხ. დანართი 1)."
„6. სასწავლო კომპონენტში შუასემესტრული გამოცდა (არსებობის შემთხვევაში) ჩატარდეს 2021 წლის 17 მაისიდან 22 მაისის ჩათვლით, მიმდინარე აქტივობები შეფასდეს შესაბამის სილაბუსში მითითებულ კვირებში, დოკუმენტური მასალის ჩაბარება მოხდეს 05 ივლისიდან შესაბამის დასკვნით გამოცდამდე, დასკვნითი გამოცდები ჩატარდეს 2021 წლის 12 ივლისიდან 24 ივლისის ჩათვლით, ხოლო დამატებითი გამოცდები – 2021 წლის 26 ივლისიდან 31 ივლისის ჩათვლით (იხ. დანართი 1)."
"8. დისერტაციის წინასწარი დაცვა, როგორც წესი, ჩატარდეს 2021 წლის 13 მაისიდან 29 მაისის ჩათვლით (იხ. დანართი 1)."
2. ბრძანების პირველი დანართი ჩამოყალიბდეს დანართში წარმოდგენილი სახით (იხ. დანართი).
3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე-რექტორს ლ. კლიმიაშვილს.

4. წინამდებარე ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
5. ბრძანება გამოკრულ იქნეს თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64).

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
რექტორი დავით გურგენიძე